<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი
„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში
ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №22, 18.05.2005, მუხ. 151) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი მუხლის 3^1 ქვეპუნქტის „$დ^1$“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„$დ^1$) საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულებისათვის, თავდაცვის ატაშესათვის, აგრეთვე საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებისათვის ავტოსატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო შესყიდვაზე;“.

2. 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

3. 24-ე მუხლის მე-11 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2.
ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრისა და სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ თავმჯდომარის 2011 წლის 7 მარტის №1-1/341-№6 ერთობლივი ბრძანება.

მუხლი 3.
კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**